საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ 01-04/107 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 25.10. 2022 წ.

MES 4 22 0001353878

25/10/2022

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2022 წელში გამოცხადებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების
შერჩევა-შეფასების სააპელაციო კომისიის შესახებ

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2022 წელს გამოცხადებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების შერჩევის, შეფასების პროცედურებისა და ჩარიცხვის წესის შესაბამისად აპლიკანტთა სააპელაციო განაცხადების განხილვა-რეაგირების მიზნით, ვბრძანებ:

I. დამტკიცდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების სააპელაციო განაცხადების განხილვის კომისიები:

1. სერგო სვანაძე- პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი;

2. ნანა შარაბიძე პროფესიული განათლების ცენრტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

3. აპლიკანტის სააპელაციო განაცხადში წარმოდგენილი პროფესიული პროგრამის მიხედვით:

3.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ საფინანსო სერვისები" - თინათინი გუგეშაშვილი - პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი;

3.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -„ მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება" - ფრიდონ გოგიაშვილი - პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი;

3.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ მხატვრული ქსოვილები" - თამარ მოსეშვილი - პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი;

3.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" - თეიმურაზ კოჩაძე - პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი;

II. სააპელაციო განაცხადები მიიღება შეფასების განხორციელებიდან 3 დღის ვადაში, არაუგვიანეს 2022 წლის 27 ოქტომბრისა;

III. სააპელაციო განაცხადი კომისიამ განიხილოს განაცხადის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, არაუგვიანეს 2022 წლის 29 ოქტომბრისა, ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი №21, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-18 კორპუსი;

IV. კომისიამ თავიანთი უფლებამოსილებისა და ვალდებულებათა ფარგლებში იხელმძღვანელონ „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2022 წელს გამოცხადებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების შერჩევის, შეფასების პროცედურებისა და ჩარიცხვის წესი"-თ განსაზღვრული ნორმებითა და დებულებებით.

საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (02.07.2021 წლის №42/ნ) ბრძანება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ"; აწსუ-ს რექტორის 20.06.2022 წლის №01-04/36 ბრძანება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის შესახებ"; აწსუ-ს რექტორის 29.08.2022 წლის №01-04/59 ბრძანება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2022 წელს გამოცხადებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების შერჩევის, შეფასების პროცედურებისა და ჩარიცხვის წესის შესახებ".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კირთაძე შალვა

პროფესიული განათლების ცენტრის
ხელმძღვანელი სერგო სვანაძე